ევროკავშირში ხანძრია

ევროკავშირი, აღთქმული ქვეყანასავით რომ დაგვიხატეს სიცრუის მამებმა, ჩვენი სულიერი და ფიზიკური სამარე იქნება, თუკი შეგვიტყუეს ან შეგვათრიეს მასში. იქ რომ სოდომ-გომორი თუხთუხებს და მყრალობს, ეს საბოლოოდ განცხადდა. იქ რომ იუვენალური ფაშიზმი იკრებს ძალას და მოზარდ თაობას ახალი ფორმაციის საკონცენტრაციო ბანაკებით, მათ შორის ერთსქესიან ოჯახებში გაშვილებით ემუქრება, ამის ფაქტებიც უკვე მრავალზე მრავალია. იქნებ ამის სანაცვლოდ ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა გველოდება იქ? სულიერი წარწყმედა, გარყვნა და გათახსირება არაფრის ფასად არ გვიღირს და არ გვინდა. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ჩვენნაირი ქვეყნებისთვის ევროკავშირში ევროპული კეთილდღეობის აღთქმა ისეთივე სიცრუე და მითია, როგორც ის, რომ მისი წევრი ქვეყნები კეთილდღეობით ნეტარებენ. აი, იხილეთ ცნობები საინფორმაციო სივრციდან:

* * *

ევროპა ზანზარებს: იტალია ევროკავშირის წინააღმდეგ აჯანყდა! პოლიციასთან შეტაკებები ესპანეთსა და ბულგარეთში!

სამშაბათი, 17 დეკემბერი 2013 15:13

საქართველო, 17 დეკემბერი, **საქინფორმი.**
მთელ **იტალიაში** ყოველდღე იმართება აქციები, პიკეტები, დემონსტრაციები და პოლიციასთან შეტაკებები. ხალხს ევროკავშირიდან გამოსვლა სურს, ისინი ევროკავშირის დროშებს ხევენ და წვავენ. ესპანეთის დედაქალაქში კი პროტესტის აკრძალვის შესახებ კანონის მიღების წინააღმდეგ დემონსტრაცია პოლიციასთან გააფთრებულ შეტაკებაში გადაიზარდა. **მადრიდში** 23 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 14 წესრიგის დამცველი. ახალი კანონი არასანქცირებულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის მსხვილ ფულად ჯარიმებს ითვალისწინებს.
მასობრივი საპროტესტო აქცია **ბულგარეთში** პოლიციასთან შეტაკებით დამთავრდა. სოფიის მცხოვრებნი მინისტრთა კაბინეტის და პრემიერ პლამენ ორეშარსკის გადადგომას მოითხოვენ. აქცია ბულგარეთის დედაქალაქის ცენტრში მინისტრთა საბჭოს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობების წინ დაიწყო. დემონსტრაციის მონაწილეებმა სახალხო კრების შენობას ჩირაღდნები ესროლეს. პოლიციელებმა პარლამენტის დასაცავად ძალა გამოიყენეს. ამჟამად საპროტესტო აქცია გრძელდება. ქვეყნის სახალხო კრების გარშემო ტერიტორია პოლიციის მიერ გარშემორტყმულია. სამართალდამცველები დემონსტრანტებს წესრიგის დაცვის და დაშლისაკენ მოუწოდებენ.
წყარო/Source: http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=17091%3A2013-12-17-11-15-03&catid=100%3Asazogadoeba&Itemid=396#ixzz2nlLIHsXz

* * *

იქნებ ისე გავბრიყვდებით, რომ ვიფიქრებთ, თითქოს ჩვენი ქვეყანა იტალიაზე, ესპანეთზე, პორტუგალიასა და საბერძნეთზე უფრო წარმატებულები იქნება ევროკავშირში? მიუხედავად ყველაფრისა, არა მგონია ასეთი ბრიყვები ვიყოთ. მთავარი ის არის, რომ თავად ევროკავშირის მიზანი და მოწყობაა ისეთი, რომ იგი ჩვენნაირ ქვეყნებს, უბრალოდ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ანადგურებს, ართმევს მას რეალურ სუვერენიტეტს, სპობს მასში მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და წარმოების ნებისმიერ დარგს, ავითარებს მხოლოდ მომსახურების სფეროსა და მის ინფრასტრუქტურას. ჩვენნაირ ქვეყნებში ის სპობს მეცნიერებას, კულტურასა და თვითმყოფადობის ნებისმიერ გამოვლინებას. ამ მხრივ საქართველოში უკვე განხორციელდა დასავლეთიდან ნაკარნახები ე.წ. „რეფორმები“, რის შედეგადაც დაინგარა განათლების სფერო, განადგურდა მეცნიერებისა და კულტურის კერები, ხელოვნება, კინემატოგრაფია და სხვა მრავალი დარგი, რითაც მდიდარი იყო საქართველო. ევროკავშირში შესვლის შემდეგ მისი ნარჩენებიც საბოლოოდ

განადგურდება. ჩვენი ქონება, ბუნება, სიმდიდრე, მიწები მოჯარული მდიდარი უცხოელების ხელში გადავა. და ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად მათივე კარნახითა და ზეწოლით მოხდება სამართლებრივი წანამძღვრების შექმნა. ამის ნიშნები დღესაც არსებობს. კიდევ რომელი უბედურება დაგიხატოთ, რომ დაგარწმუნოთ და გულისხამ ჰყოთ? მაგრამ უმჯობესია პირველი ხელიდან მივიღოთ სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, თუ რას უშვრება ევროკავშირი მის წევრ ქვეყნებს. გთავაზობთ ბერძენი ექსპერტ-პუბლიცისტის, ტასოს მიხაილიდისის პუბლიკაციის „რა მისცა საბერძნეთს ევროკავშირის წევრობამ?“ ჩემეულ თარგმანს.

* * *

რა მისცა საბერძნეთს ევროკავშირის წევრობამ?

საბერძნეთი ევროკავშირში 1981 წელს შევიდა და გახდა ევროპული თანამეგობრობის 10-ე წევრი-სახელმწიფო. ამ გადაწყვეტილებას მაშინ სერიოზული მოწინააღმდეგეები არა ჰყავდა: მოსახლეობის უმრავლესობა ელოდებოდა ცხოვრების დონის ამაღლებას, ეკონომიკის ზრდასა და დანაშაულობათა დონის დაწევას. ბერძნებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი „ევროპული ოჯახისადმი“ მიკუთვნება იყო.

რა მისცა საბერძნეთს ევროკავშირის წევრობამ? დღეს ამ კითხვაზე შეიძლება ცალსახად ვუპასუხოთ: არაფერი კარგი. თვით „ევროპული გზის“ მომხრეები აღიარებენ, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყანამ პრაქტიკულად დაკარგა ეროვნული სუვერენიტეტი, უარი თქვა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე და მოექცა ფინანსურ კაბალაში. მეტად ზუსტად დაახასიათა სიტუაცია საბერძნეთში ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოჩენილმა იერარქმა, მესოგეისა და ლავრეოტიკიის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა: „ჩვენ წაგვართვეს ჩვენი ეროვნული იდენტობა, საკუთარი ღირსების გრძნობა, და ამის შემდეგ

დამატებით გაანადგურეს ჩვენი ეკონომიკა“[1].

ათენის ავტორიტეტული გაზეთის „ტო ვიმას“ მონაცემებით, 2013 წლის წლის პირველი ნახევრის ბოლოს საბერძნეთის სახელმწიფო ვალმა 321 მილიარდ ევროს მიაღწია. ამგვარად, მარტო 2013 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ვალი 16 მლრდ. ევროთი გაიზარდა. კიდევ 18 მლრდ. ევროთი გაიზარდა ვალი 2013 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში.

თვით ოფიციალური სტატისტიკა მოწმობს მოსახლეობის გაღატაკების შესახებ, უმუშევრობის კოლოსალურ ზრდაზე, დანაშაულობათა მრავალჯერ გაზრდაზე. ევროკავშირში მონაწილეობის წლებში განადგურდა საბერძნეთის ეკონომიკა. კოლოსალური დარტყმა მიადგა ასევე საბერძნეთის სოფლის მეურნეობას.

ევროკავშირში შესვლამდე საბერძნეთი ეწეოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტს, ეხლა ეწევა იმპორტს. ადრე საბერძეთს ჰქონდა შაქრის წარმოების რამდენიმე ქრხანა და რამდენიმე მსხვილი ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ეხლა არც ერთი არ აქვს. ადრე ქვეყანაში განვითარებული იყო გემთმშენებლობა, ახლა კი ის პარაქტიკულად გამქრალია.

ევროკავშირის დირექტივებმა გამოიწვია თევზჭერის, მებამბეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის მრავალი სხვა ფორმის შემცირება.

ევროკავშირში შესვლის შემდეგ საბერძნეთისთვის დაადგინეს ქვოტები, რომლებიც შემოიღეს იმისთვის, რომ არ მოხდეს საქონლის ჭარბწარმოება: აწარმოეთ ამდენი ხორცი (და არავითარ შემთხვევაში ამაზე მეტი!), ამდენი რძე, ატამი, ფორთოხალი, ზეითუნის ზეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში - ჯარიმა. შედეგად ყველაზე მეტად მეღვინეობის დარგი დაზარალდა. მსხმოიარა ხეები და ვენახები, რომლებიც ქვოტებში ვერ მოხვდნენ, გაიჩეხა.

ერთიან ევროპაში შესვლის შემდეგ ბერძნებმა უარი თქვეს ქვეყნის თვითუზრუნველყოფაზე და დაიწყეს შრომის განაწილების ერთიან ევროპულ სისტემაში გაერთიანება. ისინი აშენებდნენ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას მომსახურების სფეროს დომინირებით, რისთვისაც მათ აქებდნენ ევროპელი ჩინოვნიკები და ეკონომიკის ზრდის ტემპების მიხედვით ირლანდიისა და ლუქსემბურგის შემდეგ მესამე ადგილზე აყენებდნენ. ასეთი პოლიტიკის წყალობით მომსახურების სფეროს წილი ქვეყნის მშპ-ში (მთლიანი შიდა პროდუქტი-მთარგმნ.) 62% -დან (1996წ) 75%-მდე (2009წ) გაიზარდა, ხოლო მრეწველობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ მაშინ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, ვინაიდან კრედიტები უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავლების საკმაოდ მაღალი დონის შენარჩუნებას.

როდესაც საბერძნეთი ევროკავშირში მიიღეს, მას წაუყენეს პირობა, შეეცვალა საკუთრებისადმი და მისი მართვისადმი დამოკიდებულება, ასევე მოეხდინა საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოების პრივატიზაცია. 1992 წელს საბერძნეთში მიიღეს კანონი პრივატიზაციის შესახებ, რომელსაც 700-მდე საწარმო ექვემდებარებოდა. 2000 წლისათვის მოხდა 27 მსხვილი საწარმოს პრივატიზება, მათ შორის ქვეყნის 5 მთავარი ბანკისა. სახელმწიფოს წილი ეროვნულ ბანკში მაშინ 50%-მდე შემცირდა, ხოლო 2010 წლისათვის - 33%-მდე. ბანკების კვალდაკვალ გაყიდეს ტელეკომუნიკაციის კომპანია, სამშენებლო მასალების ქარხნები და კვების მრეწველობა. თვით ცნობილ კონიაკ Metaxa-ს წარმოება ბრიტანულ Grand Metropolitan-ს ერგო. სახელმწიფო წავიდა მომგებიან საზღვაო გადაზიდვებიდან და დაიწყო საზღვაო პორტების გაყიდვა.

დღეს კრედიტორები საბერძნეთისაგან არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დათმობებსაც ითხოვენ: შეამციროს ჯარი და სხვა. ევროპელი ჩინოვნიკების ზეწოლით მიღებული პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით, საბერძნეთმა უნდა დათმოს 80000 ობიექტი, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება. იმ აქტივთა რიცხვში, რომლებიც „ჩაქუჩით“ უნდა გაიყიდოს ან „შეიცვალოს საქმიანობის პროფილი“, მოხვდნენ მართლმადიდებლური ტაძრები, საავდმყოფოები, ციხეები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები[2].

კრედიტორების მხრიდან საბერძნეთის შიდა საქმეებში ჩარევა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მაგალითად, გერმანიის მმართველი წრეების წარმომადგენლებმა არაერთხელ მისცეს რეკომენდაცია საბერძნეთს „დაფიქრდეს მის მფლობელობაში არსებული რამდენიმე კუნძულის გაყიდვაზე“. ევროკავშირში ყოფნის წლების განმავლობაში მიიღეს მთელი რიგი ანტიქრისტიანული კანონებისა: ლეგალიზებულია აბორტები, გაუქმებულია უქმი კვირა დღე, დაკანონებულია „თავისუფალი თანაცხოვრება“ და ერთსქესიანი ქორწინებები.

ეკონომიკური კრიზისი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მკაცრ გამოცდად იქცა. მღდელმსახურების უკმარისობის გამო იკეტება ტაძრები (განსაკუთრებით ქვეყნის მცირედ დასახლებულ რაიონებში).

უახლოეს მომავალში ბრიუსელის ზეწოლით მიიღებენ ახალ „ანტირასისტულ კანონს“. კანონი ეხება მათ „დაცავას“, რომლებიც შეურაცხყოფილნი იქნებიან ბერძნების მხრიდან „ჭარბი“ პატრიოტიზმის გამოვლინებით. სხვა სარწმუნოების მიმდევართა შეურაცხყოფის, ჰოლოკოსტის უარყოფისა და ქსენოფობიის სხვა გამოვლინების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლებრივი დევნა და პატიმრობის სერიოზული ვადები. ფტიოტიდის მიტროპოლიტის ნიკოლოზის სიტყვებით „საშიში იქნება სამშობლოსადმი სიყვარულის გამოხატვა“, დაუშვებელი იქნება ეროვნული გმირების მაგალითების დასახვა მოზარდი თაობისადმი, ვინაიდან ეს „შეეხება მუსულმანი ან ალბანელი ბავშვების გძნობებს“. ახალი „ანტირასისტული კანონი“ ასევე ითვალისწინებს ვნების შვიდეულის მსახურებისა და სახარების ტექსტების ცენზურას [3].

ტასოს მიხაილიდისი,
საბერძნეთი, 2 დეკემბერი, 2013 წ.

[1] მესოგეისა და ლავრეოტიკის მიტროპოლიტი ნიკოლოზი. ეკლესია არ ქმნის მომხრეებს, ეკლესია ქმნის წმინდანებს. // http://www.pravoslavie.ru/smi/58377.htm // http://www.agionoros.ru/docs/427.html
[2] კრიზისი საბერძნეთში: კრედიტორებს უნდათ მართლმადიდებლურ ტაძრებს „პროფილი“ შეუცვალონ // http://www.pravoslavie.ru/smi/63843.htm // http://www.agionoros.ru/docs/751.html
[3] საბერძნეთში ამზადებენ კანონს, რომელიც სახარებაში არსებულ „გამონათქვამებს“ შეურაცხმყოფის შემცველად გამოაცხადებს.
// http://www.pravoslavie.ru/news/66309.htm // http://www.agionoros.ru/docs/845.html

* * *

ძვირფასო თანამემამულენო. ჩვენ კარგად უნდა დავფიქრდეთ ჩვენს ხვალინდელ დღეზე, ჩვენს არჩევანზე. არავის აქვს უფლება, ჩვენს მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება. უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, ჩაატაროს რეფერენდუმი იმასთან დაკავშირებით, უნდა თუ არა ქართველ ხალხს ევროკავშირში შესვლა? ნაც-ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოკითხვა არასანდოა. საზოგადოება არ იყო ინფორმირებული, თუმცა დღესაც აბრუებენ სიცრუითა და დაზინფორმაციით. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ:

ჩვენ არ გვინდა სოდომ-გომორული ევროპა!
ჩვენ არ გვინდა პედოფილურ-ინცესური ევროპა!
ჩვენ არ გვინდა იუვენალურ-ფაშიტური ევროპა!

ეხლა ვმატებთ:

ჩვენ არ გვინდა გამაღატაკებელი და დამაქცევარი ევროპა!
ჩვენ არ გვინდა ევროპა, რომელშიც ხანძარია!

ავთანდილ უნგიაძე,
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი